



ძვირფასო DWV-ს წევრებო და მეგობრებო,

ჩვენს ქართულენოვან ბიზნეს-ბიულეტენში ჩვენ თქვენთვის კვლავ შევაჯამეთ სიახლეები DWV-სა და მისი წევრი კომპანიების/პარტნიორების, ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების, წევრების ექსკლუზიური შეთავაზებებისა და მნიშვნელოვანი ბიზნეს სიახლეების შესახებ. ბიულეტენის ბოლოს იხილავთ სპეციალურ შეთავაზებებს ჩვენი მკითხველებისთვის.

იცოდით, რომ

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება EUROVINO-ს ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში?

EUROVINO არის **ღვინის გამოფენა**, რომელიც აერთიანებს ღვინის სამყაროს წარმომადგენლებს კარლსრუეში, გერმანიისა და ევროპის გულში და მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს, დაამყარონ **ბიზნეს კონტაქტები**, გაეცნონ უახლეს ტენდენციებსა და პროდუქტებს და **შევიდნენ გერმანულენოვან ბაზრებზე**.


რატომ EUROVINO?

- ფოკუსი მხოლოდ ღვინოზე
- გამოფენის მასშტაბი
- სტენდების ხელმისაწვდომი ფასი - **1142 €-დან ყველა მოსაკრებლის ჩათვლით.**
- სადეგუსტაციო სივრცე Wine experience - **ერთი დასახელების ღვინო 60 €**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით სალომე მუმლაძეს:

salome.mumladze@dwv.ge; [595 09 29 51](tel:595092951)

ახალი წევრები



[Caucasus Elite Estate](#) სანდო პარტნიორია უძრავი ქონების სფეროში საქართველოში. კომპანია სპეციალიზირებულია პრემიუმ კლასისა და მაღალმომგებიან უძრავ ქონებაზე და გთავაზობთ სრულყოფილ მომსახურებას: არქიტექტურა და დიზაინი, იურიდიული მხარდაჭერა, რემონტის და მოდერნიზაციის სერვისები, ყიდვა/გაყიდვის მხარდაჭერა, ჯგუფური ინვესტიციები: ერთობლივი პროექტების ორგანიზება და პარტნიორული შეთანხმებების მართვა.



[Elisabeththal](#) არის "მაჰას" ერთადერთი ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. სამუხრუჭო სისტემების გამართვაზე ორიენტირებული კომპანია "მაჰა", რომელმაც არსებობა ავტოფარეხში დაიწყო, დღესდღეობით ერთ-ერთ ლიდერ კომპანიად ჩამოყალიბდა არა მხოლოდ სამუხრუჭე სისტემების გამართვის მიმართულებით, არამედ ინსპექტირებისთვის საჭირო სრული გამზომი ხელსაწყოებითა და ავტომობილების სერვის ცენტრებისთვის სხვადასხვა ამწეების წარმოებით. მაჰას პარტნიორები არიან მერსედესი, ფორდი, პორშე, აუდი, BMW და სხვა ავტომწარმოებლის ოფიციალური სერვის ცენტრები.

გახდით გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წევრი

გამოფენები გერმანიაში



5-7 თებერვალი 2025,
ბერლინი

Fruit Logistica

გსურს, მოხვდე გამოფენაზე? მოგვწერე და მიიღე 20%-**მდე ფასდაკლება ვიზიტორის ბილეთზე**

9-10 მარტი 2025, კარლსრუე

EUROVINO

ადგილები შეზღუდულია, იჩქარე!

საზიარო სტენდი 1142 €,
ინდივიდუალური სტენდი (6 m²) 2349 €



6-8 მაისი 2025, კარლსრუე

LEARNTEC

დიგიტალური სწავლების ყველაზე დიდი
გამოფენა ევროპაში. გაიგეთ მეტი [ამ
ბმულზე](#).

გამოფენებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად
დაუკავშირდით სალომე მუმლაძეს salome.mumladze@dwv.ge

დაგეგმილი ღონისძიებები

6 დეკემბერი 2024 | Tbilisi Philharmonic by Mercure Hotel, პეტრე მელიქიშვილის ქ.
10, თბილისი

გაუქმებულია: DWV-საშობაო წვეულება

10 დეკემბერი 2024 | Radisson Blu Iveria Hotel, რესპუბლიკის მოედანი 1, თბილისი
[DWV-სემინარი: პერსონალური მონაცემების დაცვა შრომით
ურთიერთობებში რეგისტრაცია 08.12.2024-მდე](#)

18 დეკემბერი 2024 | სასტუმრო Swissôtel Tbilisi, სოლიკო ვირსალაძის ქუჩა №3,
თბილისი
[DWV-Get Together](#)

ჩატარებული ღონისძიებები

2024 წლის ნოემბერში DWV-მ ჩაატარა:

- Expert Talk თემაზე: „კიბერუსაფრთხოება“
- **წევრები მასპინძლობენ წევრებს:** "აპტოსი"
- ტრადიციული Get Together სასტუმროში Tbilisi Saburtalo Hotel by Mercure
- DWV-IHK-ვებინარი თემაზე „საქართველო, როგორც სამიზნე ბაზარი ჰესენის მიწის
კომპანიებისთვის“



წევრების სიახლეები

BDO Academy-მ სწავლების ელექტრონული მართვის (LMS) პლატფორმა დანერგა.

Nexia Georgia-მ "წლის კომპანიის" პრესტიჟული ჯილდო მეორედ მიიღო.

BLC Law Office საქართველოს ფინანსურ და კორპორაციულ სამართალში წამყვან იურიდიულ ფირმად დასახელდა.

Gebrüder Weiss-მა ლოგისტიკური ცენტრის რიგით მესამე გაფართოება დაასრულა.

გრანტ თორნტონ საქართველო კერძო მენარმეობის საერთაშორისო ცენტრთან (CIPE) თანამშრომლობის ფარგლებში აგრძელებს პროექტს – "შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო შესაბამისობა დამსაქმებელების ცნობიერების ასამაღლებლად".

[ყველა სიახლეს გაეცნობით აქ](#)

ეკონომიკის სიახლეები

Galt&Taggart: 2024 წლის მესამე კვარტალში **საერთაშორისო ვიზიტორების** რაოდენობა საქართველოში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2.5%-ით გაიზარდა. 8.3%-ით გაიზარდა წლიურიად ვიზიტორების რიცხვიც, ხოლო ერთი დღით ჩამოსული სტუმრების რაოდენობა საერთო ჯამში 15.2%-ით შემცირდა. [ყველა სიახლეს გაეცნობით აქ](#)

German Economic Team-მა გამოაქვეყნა პროგნოზი, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეკონომიკა 2024 წელს ზედიზედ მეოთხე წელს მიაღწევს სავარაუდოდ 8.5%-იან ზრდას. 2025 წელს ზრდა შემცირდება და 5.0%-ის ფარგლებში იქნება. პროგნოზს დეტალურად გაეცნობით ინგლისურ ენაზე [GET-ის ბიზნეს ბიულეტენში](#)

შეთავაზებები ჩვენი მკითხველებისთვის

შეხვდით ახალ წელს სასტუმროს "The Biltmore Tbilisi" **რესტორანში "ზიმ"**, ცოცხალი მუსიკის და სადღესასწაულო ფოიერვერკების ფონზე.

- 350 GEL +18% დღგ, ერთ პერსონაზე, მაგიდა ხედით



- 320 GEL +18% დღგ, ერთ პერსონაზე, მაგიდა დარბაზში

ჯავშნები მიიღება:

[+995 322 72 72 72](tel:+995322727272)

Info.bhtg@biltmorecollection.com

სასტუმრო Pullman Tbilisi Axis Towers გთავაზობთ დეკემბრის კალენდარს, რომელიც სავსეა საოცარი ღონისძიებებით: საზეიმო ნაძვის ხის ანთების ცერემონიიდან დაწყებული, ექსკლუზიური ვახშმებით, რომლებიც მონვეულ შეფ-მზარეულებთან თანამშრომლობით ტარდება, და მუსიკალური საღამოებით დამთავრებული. აღმოაჩინეთ ყველა ღონისძიება [ამ ბმულზე](#).



Deutsche Wirtschaftvereinigung

Rustaveli Ave. 24, 0108 Tbilisi

Tel.: +995 32 220 57 67

E-Mail: info@dwv.ge

www.dwv.ge

Falls Sie zukünftig keine weiteren E-Mails von uns erhalten möchten, klicken Sie bitte unten

[Abmelden](#)